ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - დავით თენიეშვილის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდი: 2016/01/01 -2017/01/01

2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 22 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებულ იქნა 73 განკარგულება, დამტკიცდა 28 დადგენილება. ვარ აგრარული საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი.

დავესწარი და აქტიური მონაწილეობა მივიღე აღნიშნული კომისის 23 სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა სხვადასხვა საკითხებიდან გამომდინარე კომისიების დასკვნები და რეკომენდაციები. საკრებულოს კომისების მიერ განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში „სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში" განხორციელებული და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი. საკრებულოს მუშაობის პერიოდში ჩემს მიერ მხარდაჭერილი იქნა თითქმის ყველა ინიციატივა.

ჩემი სუბიექტური აზრია, ბიუჯეტთან დაკავშირებით პრიორიტეტი ახალგაზრდების განათლების წახალისებას დაეთმოს. სოფლის მეურნეობის კუთხით, დაინტერესება გავზარდოთ ახალი ტექნოლოგიების შესწავლისათვის.

2017 წელისათვის დაგეგმილია სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და განსაკუთრებით შეჭირვებული ფენებისათვის სოციალური ყოფის კიდევ უფრო გაუმჯობესება და რაც მთავარია მომავალი თაობისთვის უკეთესი გარემოს შექმნა.

მოსახლეობასთან, გრაფიკით განსაზღვრული მაქვს თვეში ორჯერ შეხვედრის დღე, თუმცა, კვირის სხვა დღეებშიც ვხვდები და ვეცნობი მათ პრობლემებს, როგორც საკრებულოში, ასევე უშუალოდ ადგილზე, ჩემს სახელზე შემოსული წერილობითი და ზეპირი განცხადებები ძირითადად სოციალური, ინფრასტრუქტურული ხასიათისაა.

მოქალაქეები ითხოვენ მკურნალობის დაფინანსებას, სწავლის დაფინანსებას, სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციას, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფას, სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციას, გარე განათების პრობლემის მოგვარებას და სანაგვე ურნების დამატებას და ა.შ.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, ყველა ჩემს სახელზე შემოსული ზეპირ და წერილობით განცხდებების საფუძველზე მოქალაქეებს შუამდგომლობას ვუწევდი როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ასევე სხვა ორგანოებთან, უმეტესწილად მოსახლეობის თხოვნები გათვალისწინებული იქნა.

სამომავლოდ ვგეგმავ, დარგობრივ კომისიასთან ერთად, მონიტორინგი გავუწიო ქარსაცავი ზოლის შენარჩუნება-რეაბილიტაციას, რადგან ვთვლი რომ მოსახლეობის მხრიდან რიგ შემთხვევებში ფიქსირდება ვარგისი ხეების ლიკვიდაცია. ასევე ინიციატივას გამოვიჩენ ქარსაცავი ზოლის განახლებისათვის სანერგე მეურნეობის ჩამოყალიბებაში.

ვაპირებ, ვიმუშავო ადგილობრივ მოსახლეობასთან, ძირითადად ახალგაზრდებთან, სამოქალაქო განათლების კუთხით, რათა მაქსიმალურად მოხდეს აბიტურიენტების დაინტერესება აგრარულ უნივერსიტეტსა და კოლეჯში ცოდნის ამაღლებისთვის. ეს უფრო ქმედითს გახდის სოფლის მეურნეობის დარგობრივ განვითარებას.

ეს რა თქმა უნდა არ არის საკმარისი, თუმცა,მე და წარმომადგენლობითი ორგანო, ასევე ,ადგილობრივი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი, ყოველთვის მზად ვართ ვიდგეთ მოსახლეობის გვერდით. ვიმედოვნებ, რომ მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მოსახლისთვის და საკრებულოს ყველა გადაწყვეტილება იქნება მოსახლეობის ინტერესების ამსახველი და შედეგზე ორიენტირებული.

დიდ მადლობას ვუხდი დარბაზში მსხდომთ ,რომ გამონახეთ დრო ჩემ, როგორც ერთ-ერთი რიგითი საკრებულოს წევრის მოსასმენად.

დავით თენიეშვილი

27.01 2017 წელი